ცნობის ფურცელი

№ 2161 კვირა, 25 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2161

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვერის ხიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის" შემდეგი 2162 №-რი გამოვა სამშაბათს, 27 მაისს

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-121 №-რი.

დღეს, 25 მაისს ბანკის ბაღში და თავად-აზნაურობის თეატრში
«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»
სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო გამრითურთ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათიდან. ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა. ბაღში იქმნება: **საბავშვო გასართობი, ბედის ქვევრი, ფოსტა, მკითხაობა, სიურპრიზები**, თეატრის ფოიეში: **ცეკვა.**

7 საათიდან დაუკრავს

საზანდარი

ბაღში შესასვლელი ბილეთი ეღირება 20 კაპ. (ბავშვებისთვის 10 კ.) (3—უ.—2)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუშა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—12)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კელენის სისტემისა

„იდეალ"

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი ჯილდო** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **ხულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე უიფიანი** **ტფილისში**, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია, წყნეთის ქუჩაზე. (0—13)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის გ. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სკვერი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

გ. მ. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

შ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ბ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

შ. ა. [illegible]შვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. ზედგინიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბ. ი. ავპარდანოვი—[illegible], კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ვრ. მ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ბ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ქალების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კროვატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინიშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) **ტელეფონი № 274** (წლ.

ტფილისის ვაჭართა მამასახლისი პ. ი. ალიხანოვი და იმისი ამხანაგი სთხოვენ ტფილისის ვაჭრებს მობრძანდნენ

საზოგადო კრებაზე

კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე, ვაჭართა მამასახლისის კამერაში, სოლოლაკს, ლერმონტოვის ქუჩა, № 12. ეს კრება მეორეა.

კრებამ იმ საქმეებს გარდა, რომელიც 18 მაისის სიაშია აღნიშნული სახელდობრ:

1) არჩევანი წევრებისა გამწერ საკრებულოში და 2) ორის თხოვნის განხილვა. თხოულობენ შხამიან ნივთიერებათა მომხმარების ნება-რთვას,

უნდა განიხილოს

3) საკითხი ფულის გადადების შესახებ საკომერციო სასწავლებლის შესაკეთებლად და მოსაწყობად. (1—ნ.—1)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, ლოლი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

რედაქციისაგან.

მაისის დამლევს წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **პრემია შოთა რუსთაველის სურათი.** ვისაც ფული სრულად არ შემოუტანია ან ტფილისს გარედ გასაგზავნად 30 კ. არ გამოუგზავნია, რედაქცია სთხოვს დროზე გამოუგზავნონ ხვედრი ფული.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. მოგვყავს უფრო დაწვრილებით ანგარიში პარლამენტის იმ სხდომისა, რომელზედაც ასე ბრწყინვალედ გაიმართლეს თავი პელტანმა და კომბმა.

პირველად წამოდგა დეპუტატი გონზი და განაცხადა შემდეგი: „ფიგარო"-ს დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია ემბერის ოჯახის სეკრეტრის წერილი, რომელშიაც მძიმე ბრალდებაა მინისტრ პელტანისა. ჩემის აზრით, მინისტრი მოვალეა აგვიხსნას ეს წერილი (მარჯვნივ ყვირიან—წაიკითხეთ თვითონ წერილიო). გონზი ჰკითხულობს „ფიგარო"-ში მოთავსებულ წერილს.

კითხვის დროს პელტანი კომბის გვერდით ზის. პალატა მდუმარებით ისმენს წერილის კითხვას; მხოლოდ ერთხელ შესწყვიტეს სოციალისტებმა კითხვა—რამდენი აიღო „ფიგარომ" ამ წერილის დაბეჭდვაშიო? სტრიქონი ათ ფრანკზე მეტი ღირსო!

პელტანი მიდის ტრიბუნისაკენ; პალატა მეტად აღელვებულია; მინისტრი ლაპარაკის დაწყებას აპირებს, მაგრამ ამ დროს პალატაში მოხდება ინციდენტი, რომელიც მთელის პალატის ყურადღებას იპყრობს: პირველი მინისტრი კომბი ჩქარის ნაბიჯით მიდის ნაციონალისტ ფლანდენისაკენ, რომელმაც დაბეჭდა „ჟილ ბლაზ"-ში წერილი კომბის შვილის წინააღმდეგ—ვითომც ედგარ კომბს უნდა აეღოს ერთ საქმეში 25 ათასი ფრანკი ქრთამი. კომბმა გაცხარებით დაუწყო ლაპარაკი ფლანდენს და ბოლოს გარტყმევაც დაუპირა, მაგრამ მეგობრები მიცვივდნენ და გააჩერეს. მთელი პალატა ფეხზე წამოდგა და აირია. ბოლოს, როგორც იქმნა, წესიერება დამყარდა და პელტანმაც დაიწყო ლაპარაკი: „დიდი მადლობელი ვარ დეპუტატ გონზისა, რომ შემთხვევა მომცა ვილაპარაკო ურიცხვ ცილის წამების გამო. „ფიგარო" ბრალსა მდებს, ვითომც ემბერებისაგან ამეღოს დიდი ფული იმ შრომისთვის, რომელიც უნდა ვამეწიოს ფრედერიკ ემბერის მეტოქის არჩევანის გაბათილებისათვის. მე ვაცხადებ, რომ არც წინად, არც ეხლა არაფერი არ მომითხოვნია ემბერებისაგან და არც არაფერი მიმიღია „ფიგარო"-ში გამოქვეყნებული წერილი ემბერების მდივნისა არასოდეს არ მიმიღია და საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ არც გამოუგზავნიათ ჩემთვის (დიდი ტაშის ცემაა მარცხნივ). განკარგულება მოვახდინე ფოსტაში გამოეძიათ ეს საქმე და ფოსტაში ვერ ნახეს კვალი ამ წერილისა, რომელიც დაზღვეული უნდა ყოფილიყოს. მე არ შემიძლიან ხელი შევუშალო ვისმე კიდევ ახალი ცილის-წამება შეთხზან. მაგრამ, ჩემის აზრით, თამამად შემიძლიან გამოვაცხადო როგორც მეგობრების, ისე პოლიტიკურ მტრების წინაშეც, რომ ოცი წელიწადია ვზივარ ამ პალატაში და შემიძლიან თავი მაღლა მეკავოს. არასოდეს ჩემი სიტყვა არ გამიყიდნია; ერთი გროშიც არ მაბადია შავი დღისათვის და ხვალ რომ ავად გავხდე და შრომა ვერ შევიძლო, მეგობრებს უნდა მივმართო დახმარებისათვის (პალატის დიდი ნაწილი აღტაცებული ტაშს უკრავს). ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ქურდი სხვაზე მაღლა ყვირის—არიქა ქურდი, არ გაუშვათო. მე კარგად ვიცი ვინ და რისთვის მოდის ჩემზე ასეთის იერიშით. მე ყოველთვის ვიბრძოდი მხოლოდ ჩემის პრინციპებისათვის და ეს ბრძოლაა ის ერთად-ერთი სამკვიდრო, რომელიც მამიჩემისაგან მიმიღია. არც შევსწყვეტ ბრძოლას, სანამ სული მიდგია!"

ტრიბუნიდან ჩამოსვლისას პელტანს გარს შემოეხვივნენ დიდძალი დეპუტატები და მიულოცეს გამარჯვება.

მეორე დღეს „ფიგარო"-მ დაბეჭდა წერილი: რედაქციას უკან მიაქვს უმთავრესი ბრალდება, ვითომც პელტანს ფული აეღოს ემბერებისაგან—„ჩვენ სავსებით დაგვაკმაყოფილა პელტანის სიტყვამ"-ო, მაგრამ ემბერების მდივნის წერილის შესახებ კი ისევ ამტკიცებს, რომ წერილი სამინისტროში მისული იყოო.

საკვირველია რედაქციის ასეთი ქცევა: თუ პელტანის სიტყვა სჯერა, მაშინ ისიც უნდა დაიჯეროს, რომ პელტანს ხსენებული წერილი არ მიუღია, რადგან მინისტრი კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს, და თუ პელტანის სიტყვა არა სჯერა, არც უმთავრესი ბრალდება უნდა წაეღო უკან.

ბალკანეთი. ვენის გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესსე"-ს სწერენ უსკიუბიდან, რომ იქ ბოლგარია-ოსმალეთის ომი მოსალოდნელად მიაჩნიათ:

„ერთად-ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ბოლგარია-ოსმალეთის ომის ატეხას, ის არის, რომ სამხედრო მასალა აკლია ორივე სახელმწიფოს. დღითი-დღე იზრდება მტრული განწყობილება მათ შორის. ოსმალეთის მთავრობა დიდ-ძალ ბოლგარებს ატუსაღებს, რასაც თანაგრძნობით ვერ შეხედავენ სოფიაში. საზოგადოთ მაკედონიის მდგომარეობა ისეთი არ არის, როგორიც უნდა ყოფილიყო დიპლომატების წარმოდგენით. მოსალოდნელია ახალი მღელვარებანი, რომელთაც კიდევ უფრო მეტი სერიოზული ხასიათი ექნებათ".

◆ მაკედონელ რევოლიუციონერების უმთავრესი ხელმძღვანელი დელჩევი მოჰკლეს ოსმალებმა, რაც მეტად დიდი დასაკლისია მოძრაობისათვის. „მიუხედავათ ამისა, სწერს „ტან"-ის კორესპონდენტი, კომიტეტების მეთაურებმა გადასწყვიტეს საქმის ენერგიულად განგრძობა. ვინც არ უნდა იქნეს დელჩევის ადგილს—გენერალი ცონჩევი, სარაფოვი თუ პეტროვი, პარტიზანულ ბრძოლას ძველებურად განაგრძობენ. რამდენიმე ათას რევოლიუციონერს იძულებული გაუხდია ოსმალეთის მთავრობა ასი ათასი ჯარის კაცი იყოლიოს საომარ ფეხზე დაყენებული; დინამიტის აფეთქება შიშის ძრწოლას ჰგვრის ოსმალებს და ზნეობრივ და მატერიალურ ზარალს აყენებს მათ. ამ გზით სურთ მაკედონელებს აიძულონ სულთანი და ევროპა, მისცენ მაკედონიას ის რეფორმები, რომელსაც ხალხი თხოულობს".

დელჩევის სიკვდილის ამბავს ასე გადმოგვცემს ერთი მისი მეგობარი: ოსმალებმა გაიგეს, რომ დელჩევით ხუთმეტი ამხანაგით იმყოფება ს. ბანიცაში. და ათასის კაცით გარს შემოერტყნენ სოფელს. დელჩევი და შვიდი მისი ამხანაგი ბრძოლის ველზე დაიხოცნენ, დანარჩენები კი გაიქცნენ. ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა თავი მოუყარეს სოფლელებს, მამაკაცები დახოცეს, დედაკაცები გააუპატიურეს და შემდეგ მთელი სოფელი (115 კომლი) გადასწვეს. გადარჩა მხოლოდ თხუთმეტი კაცი.

—

გუშინდელ ნომერში (საზღვ.-გარ., ბალკანეთი) სწერია: მაკედონიაში მკვიდრ ნიადაგის დამყარებას. უნდა იყოს: მაკედონიაში მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარებას...

ახალი ამბავი

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ტფილისის თავად-აზნაურთა ქარვასლის ბაღ-

სა და ქართულ თეატრის ფოიეში გაიმართება **სახალხო სეირნობა და ბაზრობა „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“** სასარგებლოდ. სასეირნო ბაღი ძალიან კარგად არის მოწყობილი. გაუმართავთ კოხტა ფარდულები, სადაც ძვირფასი ნივთები გაიყიდება. მოწყობილია აგრეთვე გასართობები ბავშვებისათვის, ბედის ქვევრი, ფოსტა, მკითხაობა და სხვა. თეატრის ფოიეში გაიმართება ცეკვა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ორკესტრი სხირტლაძისა და საზანდარი. იმედია, საზოგადოება ბლომად დაესწრება სეირნობას.

◆ 23 მაისს სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქუჩებისა და მოედნების **საუკეთესო სისტემით მოკირწყლა.** კომისიამ განიხილა ბ-ნ ენფიანჯიანცის მოხსენება და გეგმა. კომისიამ დაადგინა, ახლოს მომავალში მოიკირწყლოს შემდეგი ქუჩები: რიყის ქვით: გორის ქუჩა (დიდუბეში), ყაზბეგისა (ვერაზე), ლაზარევისა (ავლაბარში), ფეიერვერკისა და ავჭალისა; ოთხ-კუთხიანის ქვით—ავჭალის ქუჩის ერთი ნაწილი და შუა ბაზარი; და ასფალტით—სასახლის ქუჩა და ერევნის მოედნის ერთი ნაწილი. კომისიამ გადასწყვიტა, სთხოვოს საბჭოს, რომ ამ ქუჩების მოსაკირწლავად ეხლავე გადასდოს 50,000 მან. კომისიამ ამავე სხდომაზე დაადგინა, მოიწვიოს ინჟენერი და საქმის მწარმოებელი.

◆ ტფილისში არსებობს რამდენიმე ქარხანა, რომელნიც ამზადებენ მინერალის ხელოვნურ წყალს. ამ ქარხნების მუშებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას ყურადღება მიაქციოს იმათ მდგომარეობას და **კვირა-უქმეებით მაინც განთავისუფლოს** მუშაობისაგან. გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა ეს თხოვნა იმ მოსაზრებით, რომ ქალაქის თვით-მართველობას არა აქვს უფლება ასეთ შუამდგომლობათა გადაწყვეტისა.

◆ ამბობენ, საბოლოოდ გადასწყდა მიმართულება **შავის ზღვის პირად განზრახულ რკინის გზისა.** რკინის გზა დაიწყება ჩრდილოეთ კავკასიაში არმავირის სადგურთან, გაივლის მაიკოფსა, ტუაპსესა, სოხუმსა და შემდეგ ახალ-სენაკში ჩავა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება **ტფილისის მედროგეებისა.** თხოულობდნენ, მედროგეებისაგან ცალკე საზოგადოება შესდგეს და ამ საზოგადოებას, როგორც მეეტლეებს, ნება მიეცეთ თავიანთი მამასახლისი იყოლიონო. გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა ეს შუამდგომლობა.

◆ ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარმა გამგეობამ ნება დართო სენაკის მაზრის **სოფელ ნაოდახლევში** პირველ ივლისიდან დაარსდეს საფოსტო განყოფილება.

◆ დღეს, 25 მაისს, ტფილისის გუბერნატორი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი წინამძღვრიანთ კარში მიდიან სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დასათვალიერებლად.

◆ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ტფილისის სამკურნალოში **ხალხის უფასოდ დასახმარებლად** მიწვეულ იქნას კბილის ექიმი ზილბერმაცი.

◆ **ხევსურეთიდან გვწერენ:** „პირიქით ხევსურეთში 1900 წლიდან არსებობს წერა-კითხვის სკოლა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა. ამ სკოლაში მასწავლებლის თანამდებობას ასრულებენ ადგილობრივი მღვდელ-დიაკვანი. ხანდახან მრევლში წესის ასრულება ხელს უშლის კრებულს, სწავლა რიგზე წარმართოს. კარგს იზამს საბჭო, თუ საკუთარ მასწავლებელს დაუნიშნავს ახიელის სკოლას და თვით სკოლის პროგრამასაც გააფართოებს, რადგან პირიქით ხევსურეთში უფრო მეტი მოთხოვნილებაა სკოლისა, ვიდრე პირ-აქეთ ხევსურეთში. იქაური ხევსურები მიწის სიმცირის გამო ხშირად ჩადიან კავკავში სამუშაოდ, სადაც ენისა და წერა-კითხვის ცოდნა სჭირდებათ“.

◆ 23 მაისისთვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **წლიური კრება** იყო დანიშნული, მაგრამ წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და ამიტომ არ შესდგა. კრება სხვა დროისათვის გადაიდო.

◆ დღეს, 25 მაისს, ტფილისიდან **სიღნაღსა** და მერე **თელავში** მიდის ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია კახეთში დარჩება 8 დღეს.

◆ **„კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ:** დაინიშნენ სტაროდუბის ოლქის სასამართლოს წევრი სმირნოვი—ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად; იუსტიციის სამინისტროს მოხელე ალექსეევი—ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად.

◆ ჰფიქრობენ, ერევნის გუბერნიაში **ახალი არხები** გაიყვანონ მიწების მოსარწყავად. ამისათვის ივნისის პირველ რიცხვებში წყალთა გამგეობის უფროსი განჯის გუბერნიაში მიდის. საზოგადოდ ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაქციეს ამ გუბერნიას.

◆ სამხედრო უწყებამ გადასწყვიტა, **გაამაგროს მდინარე თერგის ნაპირები** და გაიყვანოს არხები ადგილების მოსარწყავად. მთავარმა შტაბმა უკვე გაჰგზავნა ტოპოგრაფები ამ საქმისათვის.

◆ **მალარიის გამოსარკვევად** ყიზლიარში ამ ზაფხულს კავკასიის სამხედრო უწყებაცა ჰგზავნის ექიმთა დასს. დასი 15 ივნისს წავა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა **ვერაზე ქალაქის პირველ სკოლას** ეწოდოს ბარიათინსკის სახელი.

◆ **19 მაისს ახალ-ციხეში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე გამაჰმადიანებულ ქართველების გიუბ-ალი-ოღლისა, ისმაილ-დუშხუნ-ოღლისა და მაჰმედ-დურსუნ-ოღლის, რომელთაც ჰბრალდებოდათ მეზობლის მუსტაფა გულა-ოღლის სახლში შეპარვა ერბოს მოსაპარავად. სახლში ამდროს ეგდეს სძინებიათ. სასამართლოში და გამომძიებელთან გამოირკვეულა, რომ ბორიტ-მაჰმედი წუქქზების ბუშუდყევს, რომლის დუქანშიაც მოპარული 10 ფუთი ერბო აღმოუჩენიათ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ოთხივე ბრალდებული და გადაუწყვიტა—ბუშუდყევს 5 თვით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო დანარჩენთ—უფლებათა ჩამორთმევა და თითოს 4 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.**

◆ **გუშინ, 24 მაისს, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ბოქაულად ნამყოფის ნ. ნ. არდიშვილისა. რადგან ბრალდებული ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა, საქმე სხვა დროისთვის გადაიდო.**

რუსეთის ქრონიკა

◆ ქალაქ ვლადიმირში ეს რამდენიმე ხანია არსებობს საზოგადო-განათლების კურსები. სამღვთო წერილის სწავლება ამ კურსებზედ იკისრა მღვდელმა გრ. პეტროვმა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ვლადიმირის საგუბერნიო საეროზო გამგეობამ ოფიციალური მოწერილობა მიიღო მიტროპოლიტის ანტონისა. მიტროპოლიტი ატყობინებდა, შესაძლებელად ვერა ვცნობ, ნება მივცე მღვდელს პეტროვს სამღვთო წერილის სწავლებისაო.

◆ ირკუტსკის გუბერნიის ერთ მივარდნილ ქალაქში, კალიმსკში ნამდვილი შიმშილობაა. ფქვილი აღარ მოიპოვება. არის ჭვავის უხეირო ფქვილი და ისიც ფუთი 15—16 მანეთადაა თურმე. ამ ფქვილსაც ვაჭრები კარგ ნაცნობთა და მეგობართ აძლევენ. ერთ ვაჭარს ამას წინად ირკუტსკიდან 5 ფუთი სუხარი მისვლია, ვაჭარს გირვანქა 50 კაპიკად გაუყიდნია.

◆ ხარკოვის სამოსამართლო პალატას ამას წინად განუხილავს საყურადღებო საქმე. სამართალში მიცემული იყო ისპრავნიკი ოტროხოვი. საბრალმდებლო ოქმი საქმეს ასე გადმოგვცემს. 1901 წელს, 16 სექტემბერს გლეხმა-სექტანტებმა თვალსაჩინო უწესოებანი მოახდინეს სუმსკის მაზრის სოფ. პავლოვში. მიზეზი უწესოებისა ერთი გლეხი იყო, მოსე ტოდოსიენკო, რომელიც დადიოდა სექტანტებს შორის და ამბობდა, რომ ამ ცოტა ხანში ჩამოვიყვან თავად ხილკოვს და წაგიკითხავთ უმაღლეს მანიფესტს იმის შესახებ, რომ გლეხებმა მემამულეებს ადგილები ჩამოართვანო. ეს ამბავი გაიგო ისპრავნიკმა ოტროხოვმა, მაგრამ ზომები არ მიიღო უწესოების თავიდან ასაცილებლადაო. აი, ამისთვის მისცეს სამართალში ისპრავნიკი. სასამართლოში გამოირკვა, რომ სექტანტები წესიერად იქცეოდნენ და არავითარი არეულობა არ იყო მოსალოდნელი. პალატამ გაამართლა ისპრავნიკი.

◆ იმიერ-კასპიის მხარეს საშინლად მოედო თურმე კალია. არავითარი ბრძოლა არ შეიძლება, ისე უთვალავად დასევია კალია მთელ იმიერ-კასპიის მხარეს. ბევრგან კალიის ქარავანი მზეს აბნელებს თურმე. ამბობენ, სულ ერთიან გაანადგურებს ნათესაობას, ვენახებს, ბაღებსო. შიმშილი აუცილებელია. ასხაბადის გაზეთები სავსეა კალიის შემოსევის ამბებით.

◆ აღმოსავლეთ ციმბირში ხოლერის მოლოდინით უკვე დაფაცურდნენ მოხელენი და ექიმები. ტომსკის უნივერსიტეტის მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტებს შეეკითხნენ, ხომ არავინ წავა შორეულ აღმოსავლეთში ხოლერასთან საბრძოლველადაო. ჯამაგირს ძალიან კარგს აძლევენ. შეუდგნენ ქალაქებისა და სოფლების გაწმენდა-გასუფთავებას. როგორც სწერენ, აღმოსავლეთ ციმბირს წელს ხოლერა არ ასცდება.

პრესსა

„ნოვოე ვრემია“ თავისას არ იშლის და დაჟინებით გაიძახის, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავასახლოთ ამიერ კავკასიაში რუსებიო. სათაკილო ის არის, რომ ეს გაზეთი, თანამშრომლის ვასილი სილოვიჩის პირით, გვეუბნება: „როგორცა სჩანს, ამიერ-კავკასიაში რუსების დასასახლებლად თავისუფალი ადგილი აღარ მოიპოვებაო.“ ესეა საქმე, მაგრამ ეს დალოცვილი მაინც საჭიროდა სცნობს ამ უადგილო ქვეყანაში რუსების დასახლებას და დიდ საყვედურს უცხადებს იმათ, „ვინც იციან, სად არის თავისუფალი ადგილი და კი არ ამჟღავნებენ.“ ახირებაც ასეთი უნდა: არა, თუ ადგილი არ არის, რაღა უნდა გამოამჟღავნონ და გამოაცხადონ?

ნაკლებ გასაოცარი არც მეორე აზრია ბ-ნ სილოვიჩისა. ციფრებით ამტკიცებს ეს ავტორი, რომ ამიერ-კავკასიაში რუსები ვერ იტანენ ჰავას, ავად ხდებიან და უწყალოდ იჟლიტებიან.

მესამოცე წლებში შავი-ზღვის პირას ყუბანელ ყაზახთა და თავის ნებით გადმოსახლებულთაგან შეადგინეს სანაპირო ბატალიონი. ეს ბატალიონი უნდოდათ სამუდამოდ დამკვიდრებინათ იქ, ამიტომ თორმეტ სტანიცაში დაასახლეს 629 ოჯახი, სულ 4,157 სული. მისცეს თვითეულ ოჯახს დიდძალი მამული და ფული. ამას გარდა ოთხის წლის განმავლობაში ეძლეოდათ ხაზინიდან ფული, თვითეულ სულს 9 მ. 33 კაპ. პირველ წელიწადს მოჰკვდა 463 კაცი, მეორე წელიწადს—361. ბატალიონი თან-და-თან დნებოდა და ბოლოს სულ გააუქმეს.

აი, ასე იჟლიტებიან გადმოსახლებული რუსები (სხვა მაგალითებიც მოჰყავს), მაგრამ სილოვიჩი და იმასთან მთელი რედაქცია ფინუნში არ აგდებს ამას და ურჩევს მთავრობას, რაც შეიძლება მეტი ხალხი გადაასახლეთო. ხალხისა და სამშობლოს სიყვარულიც ასეთი უნდა!..

⁂

„პრავო“-ში დაბეჭდილია ბ-ნ გესსენის წერილი იმ რეფორმების შესახებ, რომელიც რუსეთში შემოიღეს ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში. ავტორის აზრით,

ყველა რეფორმა იმ რწმენით იყო გამსჭვალული, რომ თავი და ბოლო ბიუროკრატიაა, რომ ბიუროკრატიას სასწაულთ-მოქმედება შეუძლიან. მოხელემ ყველაფერი იცის, მოხელეს ყველაფერი შეუძლიანო,—აი, აზრი ამ რეფორმებისა. ის თავადი ან აზნაური, რომელიც ერობის წევრია, არც მეურნედ ვარგა და არც ადმინისტრატორად, ხოლო ის, რომელიც მოხელეა,—კარგი მეურნეც არის, ადმინისტრატორიც, განათლებული მოსამართლეც და ყველასთვის მზრუნველი მამაც. ასეთი სასწაული შედეგია იმისა, რომ მოხელე მთავრობის დანიშნულია და არა ხალხის მიერ არჩე-

ფელეტონი

პატარა ამბები

ტანჯვა—ბედნიერებაა.—მცენსკის აზნაურის ნილუსის პროექტი.—პალმს გული მაგრად აქვს.—რად?—ერთი პოლიციელის გასამართლება.—მეორესი?

ამ რამდენისამე წლის წინად ერთი გაზეთი შეეკითხა, სხვათა შორის, პროფესორს თარხნიშვილს, რას უსურვებთ ევროპას საახალწლოთო. ცნობილმა მეცნიერმა მოკლე პასუხი მისცა: დიდს, საყოველთაო გამომაფხიზლებელს ომსაო.

აღტაცებაში მომიყვანა მაშინ პროფესორის მართალმა და გულ-ახდილმა სიტყვებმა. სიამოვნებით ვიგონებ დღესაც, მათში მარტივად და გარკვევით არის გამოთქმული ერთი უდიდესი ჭეშმარიტება კაცობრიობის ცხოვრებისა. იგი ახალი არ არის, ძველია, მაგრამ მჭევრმეტყველურად და თავის დროზე იყო ერთხელ კიდევ წარმოთქმული.

ადამიანებს გრძნობა უჩლუნგდებათ, გონება უზარმაცდებათ, სურვილი ეკარგებათ, საზოგადო აპატია და უძრაობა მოიცავს მათ, მაჯა უსუსტდებათ, მთელი მათი არსებობა რაღაც უხალისო პირუტყვულ ცხოვრებად გადაიქცევა. ეს ისეთი ცხოვრებაა, როდესაც მთელი მხარე შეგიძლიათ შემოიაროთ და არსად კი არ გაიგონოთ ცოცხალი სიტყვა, არსად არ შეხვდეთ ადამიანურს სახეს, რომელსაც ამშვენებდეს ღვთიური სული. მაგრამ სათითაოდ რომ გამოკითხოთ ყველას, გიპასუხებენ: კმაყოფილი ვართ ჩვენის ცხოვრებითო. კმაყოფილნი არიან ისე, როგორც კმაყოფილნი და ბედნიერნი იყვნენ როზენკრანცი და გილდესტერნი, რომელნიც ბედს მაღლა ქოჩრის წვერზე არ აჯდნენ, მაგრამ არც იმის ფეხ ქვეშ იყვნენ მოქცეულნი...

ასეთს ცხოვრებას ჰამლეტმა სარტყელთან არსებობა უწოდა. ასე ცხოვრობენ ადამიანები, რომელნიც კიდეც არიან მაძღარნი და არც არიან, კიდეც იცინიან და არც იცინიან, კიდეც მოილხენენ და არც მოილხენენ. ეს არის ნახევარი სიცოცხლე, ნახევარი სიკვდილი, არც ერთი, არც მეორე. არც დღეა, არც ღამე: ადამიანის გრძნობას და გონებას არ აალფრთოვანებს, იმედით და სიხარულით არ ალევსებს სულსა და გულს ნათელი მზის სხივები, ან არ შეიპყრობს შიში ბნელს ღამეში, არ მოჰგვრის ნაღვლიან ფიქრებს, ფრთებს არ შეასხამს იმის ოცნებებს და წინ არ გადუშლის მის გონებითი თვალებს ადამიანის სიბეჩავეს, ტანჯვას, სიბოროტეს, ყოველგვარს სიმწარეს ცხოვრებისას...

ასეთი ცხოვრება—ცხოვრება არაა, იგი მხოლოდ ცხოვრების გარეშე ყოფნაა... კიდევ უფრო ცხოვრება არის იქ, სადაც ტანჯვაა...

⁂

კარგი ორი თვე იქნება მას აქეთ, რაც რუსეთში მცენსკის სამაზრო სასოფლო-სამეურნეო კომიტეტში აზნაურმა ნილუსმა ერთი შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც გრინგმუტის გაზეთმა მაშინვე პროკლამაციასავით გააკრა თავის ფურცლებზე და დიდი ქება-დიდებაც მიაყოლა ზედ.

ცოტა დაგვიანებული ამბავია, მაგრამ დღეს ურიგო არ იქნება ჩვენთვის, გავიხსენოთ მოკლედ. კეთილშობილი ნილუსი შეეხო დიდმნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ უნდა გაბედნიერდეს რუსეთი (იმედია, ჩვენც მოგვწვდება ეს ბედნიერება)? რუსეთის გაბედნიერებას სოფლის გაბედნიერება შეადგენსო, თქვა ორატორმა. დღეს სოფელი დიდს გაჭირვებაშია, მართალია, მაგრამ ამისათვის სრულებით არაა საჭირო სწავლა განათლება, როგორც ზოგიერთს ლიბერალს ჰგონია. სწავლა განათლება რუსეთის სოფლისათვის იგივეა, რაც ფრაკი იმ ადამიანისათვის, რომელსაც ქირურგიული ოპერაცია ესაჭიროება. თანაც ვინც სოფლის უკულტურობაზე ლაპარაკობს, ის ცილსა სწამებს მართლმადიდებელ რუსეთს, რომლის ხალხს მეტი მეცნიერება აქვს, მეცნიერება, მოპოვებული ხიშტებით და სისხლით, ვიდრე ათასგვარ ჩვენებურს კოსმოპოლიტს. სოფელს არც სჭირია მიწა. გლეხობა თუ გაღატაკდა, არა უმიწობისა გამო. სოფელში თავად-აზნაურობაც გაღატაკდა. რა არის ამის მიზეზი? თავად-აზნაურობა, რომელსაც ესაჭიროება მუშა ხელი (არ-მუშა ხელი?), გაღატაკდა უფულობისა გამო. თავად-აზნაურობას ესაჭიროება ფინანსები, გლეხობას—წეს-რიგი. აი, აქ არის საკითხის ცენტრი, აქ არის ხსნა. აზნაური აზნაურია, გლეხი გლეხია, მათ შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ არის მათი შემაერთებელი ნიადაგიც, შეიძლება მათი შეერთებაც და კავშირიც. საქმე ისაა, რომ თავად-აზნაურობას ვალად აძევს ადგილობრივი სამსახური სახელმწიფოს წინაშე. ეს სამსახური მდგომარეობს იმაში, რომ მამულიანმა თავად-აზნაურობამ მზრუნველობა და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სოფლის მეორე ძირითადს ელემენტს—გლეხობას, რომლის

ივერიელი

ული. ყველაფერი გაკეთდება და მოეწყობა, თუ-კი საქმე ერობას ჩამოერთმევა და მოხელეს გადაეცემაო.

ასეთ მძლეთა-მძლედ მიაჩნდათ ბიუროკრატიზმი ოცდა ხუთის წლის განმავლობაში.

მაგრამ თან-და-თან ირკვევა და აშკარავდება, რომ ბიუროკრატია, სრულიად მოწყვეტილი ცხოვრებას, მოკლებულია უნარს ცხოვრების განკარგებისა და გაუმჯობესებისას. ბიუროკრატიული კანცელარია—მანქანაა, გამოსადეგი მხოლოდ „მიმდინარე საქმეების“ საწარმოებლად. ცხოველმყოფელი რეფორმა-კი—სათუთი მცენარეა, რომლისთვისაც საჭიროა რაც შეიძლება მეტი სინათლე, ჰაერი და სითბო. ასეთი მცენარე ვერასოდეს ვერ გაიხარებს ბიუროკრატიულ კანცელარიის ბნელ და ნოტიო ჰაერში.

⁂

გაზეთ „ბაკუ“-ში ბ-ნი პეტრე გელეიშვილი ეხება „ნოვ. ობ.“-ს თანამშრომლის ბ-ნ ომ.—ის მოღვაწეობას მწერლობასა და საზოგადოებაში და ამბობს, ვითომ ჩვენ ქებითა და დიდებით მოგვეხსენებინოს ბ-ნი ომ.—ი. ეს სიმართლეს მოკლებულია: ჩვენს გაზეთში არა თუ ბ-ნ ომ.—ის ქება არ დაბეჭდილა, არამედ ორი წერილიც კი იყო იმის „მოღვაწეობის“ წინააღმდეგ.

ბ-ნ პეტრე გელეიშვილს სრული ნება აქვს „ცნ. ფურ.“-ს კონსერვატიული გაზეთი უწოდოს. რაღა თქმა უნდა, არც იმაზე აუხირდება ვინმე, რომ გაზეთის ფურცლებზედ თავისი თავი ცამდე აიყვანოს და პროგრესისტ-დემოკრატად გამოაცხადოს. მაგრამ ფაქტების დამახინჯებას კი უნდა ერიდოს. გულწრფელად დავარწმუნებთ ბ-ნ გელეიშვილს, რომ ასეთი დამახინჯება ფაქტებისა არც იმას გაადემოკრატებს და არც ჩვენ გაგვაკონსერვატორებს.

თეატრი

ქუთაისი. ჩვენს სცენას, ეტყობა, ბედი არ უღიმის. სცენის საუკეთესო მუშაკი მესხიშვილი ავად არის. ავად არის აგრეთვე ნინო ჩხეიძის ასულიც. ბ-ნს მესხიშვილს საზოგადოებამ შემწეობა აღმოუჩინა და საექიმოდ საზღვარ-გარედ გაჰგზავნა, თუმცა ძლიერ გვიან-კი. ადრე რომ წასულიყო, მაშინ ავადმყოფობა საშიში არ იქნებოდა. ეს ბედი მოელის ქ-ნ ნინო ჩხეიძის ასულსაც, თუ დროზე არ მოუარა თავს. ჯერ-ჯერობით იმისი ავადმყოფობა—ნერვების სისუსტე—ადვილი განსაკურნებელია; მაგრამ ამას უნდა მყუდროდ, შესვენებულად ცხოვრება და ექიმობა; ეს-კი არ შეუძლიან. თვით ქ-ნი ჩხეიძე ავადმყოფობას არ იმჩნევს. ამას წინად დააპირეს იმის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა, მაგრამ ეთქვა: „ფეხზე დავდივარ და მრცხვენიან საზოგადოების შეწუხება; ფეხზე მდგომს რომ დამინახვენ, იტყვიან, კარგად არისო“. ექიმებს ურჩევიათ იმისთვის, ამ ზაფხულს უსათუოდ წავიდეს სადმე საექიმოდ. ამხანაგებს, როგორც ყოფილა, დაუთანხმებიათ და ჰსურთ იმის სასარგებლოდ წარმოდგენები გამართონ სხვადა-სხვა ქალაქებში. ორშაბათს, 26 მაისს, ქუთაისში უნდათ წარმოადგინონ „მედეა“, რომელშიაც უმთავრესს როლს თვითონ ჩხეიძის ასული შეასრულებს. არა მგონია, საზოგადოება თანაგრძნობით არ მოეკიდოს ამ წარმოდგენას.

დონ-ბაზილიო

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოქმედება 1902 წელს.

როგორც საზოგადოების საბჭოს ანგარიშიდგან სჩანს, 1902 წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოებას ჰყოლია 135 წევრი: 6 საპატიო, 117 ნამდვილი და 12 კორესპონდენტი. საანგარიშო წელს მიუღიათ 5 საპატიო და 17 ნამდვილი წევრი. ასე რომ ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 11 საპატიო, 134 ნამდვილი და 12 კორესპონდენტი წევრი. საანგარიშო წელს საზოგადოების მოქმედება უმთავრესად იმით გამოიხატა, რომ კვირაში ორჯელ-სამჯერ მართავდა კრებებს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა პროგრამის განსახილველად. საზოგადო კრებებმა სხვა საყურადღებო მოხსენებანიც განიხილეს. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია: მთავრობისაგან დახმარება 7200 მან., საწევრო 730 მან. და სხვა სულ 27,394 მან. დახარჯულა: საზოგადოების მოსამსახურეებზე—2280 მან. გაზეთის გამოცემაზე—3200 მან. ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვის მიეცათ—4650 მან. სასტატისტიკო ბიუროს ხარჯად, 1214 მან. და სხვა. სულ 27,048 მან. დარჩენილა 346 მან. საანგარიშო წელს სამეურნეო იარაღისა და ვაზის წამლის საწყობი ებარა ბ. ი. ყიფიანს. გამოუწერიათ შაბიამანი 5639 ფუთი და 7 გირვანქა, გოგირდი 7320 ფუთი და სამეურნეო მანქანები სულ 42,129 მანეთისა და 37 კაპ. დიდი ნაწილი ამ მასალისა და მანქანებისა გაუგზავნიათ კახეთის საწყობებში. დანარჩენი იყიდებოდა ტფილისში. გაუყიდავთ საანგარიშო წელს 5156 ფუთი 27 გირვანქა შაბიამანი, 19,858 მან. 86 კაპ., გოგირდი 7320 ფუთი, 13042 მან. 92 კაპ. მანქანები 39580 მანეთისა და 9 კაპეიკისა. საზოგადოებას გაზეთი გამოუცია 540 ცალი; გაზეთზე დახარჯულა 3200 მან., ხოლო შემოსავალი ყოფილა 579 მან.

წერილი ახალციხიდან

ქალთა სკოლა

ქართველებს აქვთ ერთ-კლასიანი ქალების სასწავლებელი, რომელსაც კომიტეტი ინახავს: ხან საწევრო ფულს ჰკრებს, ხან წარმოდგენებს ჰმართავს, ხან ხელის მოწერას და ხან რას არა სცდილობს, რომ ხელი არ შეუშალოს სწავლის მიმდინარეობას. წელიწადში 1,200 მან. ხარჯი აქვს სასწავლებელს და ამოდენა ფულის მოგროვება დიდი საქმეა, რისთვისაც მადლობის ღირსია კომიტეტი. ამ სასწავლებელში ხელ-საქმესაც კარგად ასწავლიან. 21 მაისს გამოცდა მოხდა. გამოსცადეს მეორე და მეოთხე განყოფილების ბავშვები. მეოთხე განყოფილების ბავშვები საუცხოვოდ კითხულობდნენ ბუნების კარში როგორც ნაცნობს, ისე უცნობს წერილებს. წაკითხულს თავიანთ სიტყვებით კარგად მარტავდნენ. სამშობლო გეოგრაფია და ისტორიიდანაც იცოდნენ. ქართულად ნაწერი რვეულებიც საუცხოვო იყო. რგვალი ხელით ეწერათ, ამისთვის დიდი მადლობა ეთქმით მასწავლებელ ქალებს. სუსტობდნენ ცოტა მეორე განყოფილების ბავშვები. კითხულობდნენ დედა-ენას, მაგრამ წაკითხულს თავიანთ სიტყვებით ვერ მარტავდნენ.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). დიდი ხანია, რაც ისეთი საამური ამინდები არ გვანახავს გაზაფხულში, როგორც წლეს. დაწყნარებული მზიანი დღეები და მასთან დრო-გამოშვებით ჟუჟუნა წვიმა ძალიან ხელს უწყობს მუშა ხალხს. ხვნა-თესვას თითქმის მორჩნენ ამ თვეში. ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ წლეს ყველაფრის მოსავალი კარგი იქნება. შეიძლება წლეს ედირსოს ჩვენს საწნახლებსაც უჩინარ წვენით გავსება. თითქმის 8 წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი ქვევრები და საწნახლები უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რადგან ღვინის მოსავლის ხსენებაც არ იყო ჩვენსკენ. ფიქრადაც აღარვის მოსდიოდა, რომ ოდესმე გვეღირსებოდით ქვევრებისა და საწნახლების დამზადება ღვინისთვის, მაგრამ წლეს კი, გეთაყვა, გადმოგვხედა ბუნებამ წყალობის თვალით. სადაც-კი გადარჩა ვაზი აუწეხავი, სწორედ შესამჩნევად ასხია. ხნიერი კაცები ამბობენ: „საუკუნე გამოაცვალა და, ღვთის მადლით, აწი ღვინის მოსავალი ძველებურად გამობრუნდებაო“!

აგერ 10 წელიწადი სრულდება, რაც სამტრედიელებმა თავიანთ ადგილში მდ. რიონზე ბორანი გააბეს, 800 მანეთამდე დაუჯდათ. ეს ბორანი იცემოდა იჯარით წელიწადში 200—250 მანეთამდე, რაიცა უთვალ წლიურად არა ურიგო წყარო იყო აქაურებისათვის. 1900 წელს ერთმა გლეხმა უდიერ საზოგადოებას და სხვებთან ერთად გააბა ბორანი საკუთარ ადგილში, საამხანაგო ბორნის მახლობლად. ამ გლეხს მიჰბაძა მეორემ, მესამემ და ამნაირად საამხანაგო ბორნის საქმე წახდა: თუ წინა წლებში მოიჯარადრენი ერთმანერთს ეცილებოდნენ და 250 მანეთზე მეტს იძლეოდნენ წელიწადში, 1902 წელს ბევრი არავინ გამოჩნდა ამღები. ბოლოს, როგორც იყო, ხუთმა აქაურმა გლეხმა აიღო იჯარით წელიწადში 70 მანეთად. მაგრამ ესი იმოსთანა ადებას. გაზაფხულიდგან დაზამთრებამდის ამუშავეს ბორანი და მერე ყველამ თავი მიანება; არც იჯარის ფული გადაიხადეს და ბორანიც ღვთის ანაბარად გაუშვეს.

მესამე წელია, რაც ჩვენ სოფელში ქვითკირის ეკლესიას აშენებენ. მოიჯარადრეს 8500 მანეთად აქვს აღებული. ეკლესია უნდა მოთავდეს ორ წელიწადში. ორი წელი უკვე გავიდა და ეხლა მესამეში ვართ, მაგრამ ფული ჯერ ნახევარიც არ გადაუხდიათ სიღარიბის გამო. წლეს ვფიქრობდით ხალხი, აბრეშუმს მოვიწევთ და გადავიხდითო, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუვდა: წლეს შედარებით თესლი ძალიან ცოტა იყო, რის გამო უმრავლესობას უაბრეშუმოდ დარჩა და, რასაკვირველია, ეკლესიის ფულის გადახდის საღსარიც არა აქვს...

სიდ. სამტრედიელი

—

ღვარდია (რაჭა). ორი ღვარდიაა, ქვედა და ზედა. ქვედა ღვარდია სულ ვენახებად არის გადაქცეული. სხვა სოფლებსაც ბევრსა აქვს ქვედა ღვარდიაში ვენახები. ძალიან კარგი ღვინოც იცის. ვენახებს და ვაზებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, თუ სეტყვა არ გვესტუმრა. ზედა ღვარდიიდან გზა მიდის ლეჩხუმის მაზრაში. ამ გზაზედ რომ უცხო კაცმა გაიაროს, სულ დაიკარგება ტყეებში. გზის შეკეთებაზე არც ლეჩხუმის მაზრის მამასახლისი ჰფიქრობს და არც რაჭისა. სამწუხაროა, რომ არც ერთმა ამ მამასახლისმა წერა-კითხვა არ იცის. საზოგადოდ სწავლის მხრივ საქმე ძალიან კოჭლობს ჩვენსკენ. ღვარდიიდან სკოლა თითქმის ათის ვერსის მანძილზეა და სად შეუძლიან იქ ბავშვებს სიარული? ღვარდიელებს შეუძლიანთ ერთი სამრევლო სკოლა დაიარსონ, შენობისთვის ხე-ტყის ყიდვა არ უნდათ და ხელოსნობაც თითონ იციან, მაგრამ მოთავე არავინ არის.

ნ. დვალი

—

ხონი (იმერეთი). 18 მაისს მოხდა კრება ხონის შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებისა. როგორც ანგარიშიდან სჩანს, საზოგადოებას წმინდა მოგება ჰქონია 916 მანეთი და 10 კაპ. მოგება ძალიან ცოტაა; საზოგადოების საქმეებს, როგორც ანგარიშიდან შევიტყეთ, წინ-მსვლელობა არ ეტყობათ. ამის მიზეზად საზოგადოების წევრმა ბ. მდივანმა და კრების თავმჯდომარემ ბ. კიკალიშვილმა დაასახელეს გამგეობისადმი საზოგადოების წევრთა უნდობლობა. ასეა თუ ისე, კრებაზე გამოარკვიეს, რომ ბანკს ძალიან ცოტა ფული აქვს საწარმოებლად; უფულო ბანკი კი იგივეა, რაც უიარაღო მეომარი. შემდეგ სხვა საგანზე ჩამოვარდა ლაპარაკი. უფულობის გამო გამგეობა მეტის-მეტად ფრთხილად აძლევდა თურმე სესხს წევრებს. გამგეობას უსაყვედურეს, რად აძლევდა ზოგს სესხს და ზოგს-კი არა. როგორც გამგეობის თავმჯდომარემ განმარტა, გამგეობა სესხს იმას აძლევდა, ვისაც უფრო უჭირდა, რადგან „ზოგიერთებს ფული გაჰქონდათ არა საწარმოებლად, არამედ გასასესხებლადაო“. კრებამ დაავალა გამგეობას, უყველთვის აღნიშნოს ხოლმე რა მიზეზით არ აძლევს წევრს ფულს. შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა. მერე ლაპარაკი ჩამოვარდა მოგების განაწილებაზე. გამგეობას მოგების 10% მიუმატნია სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად; დანარჩენი დივიდენდად გადაუდვია. თითო პაიზედ მოდის ხუთი მანეთი. ვ. ქუთათელაძე შეეკითხა წევრებს: გინდათ მთლად წაიღოთ ეს ხუთი მანეთი მოგება, თუ დატოვებთ ამ ფულიდან შარშანდელივით ნაწილს ჩვენ დატაკ დაწესებულებასაო? „არ შეიძლება დატოვება, წავიღოთ, წავიღოთო!“ გაისმა აქეთ-იქიდან. ბანკს ორ ღარიბ კაცისთვის აღმოუჩენია ფულად შემწეობა. კრებამ დაადგინა ამ მოვალეებს სარგებელი არ გამოერთვათ და ნება მიეცეთ ვალი ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. კრებამ გადასდო აგრეთვე 45 მანეთი საქალაქო სკოლის გზის გასაფართოვებლად. შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვა განიხილეს. დღეს გამგეობის თავმჯდომარეს 450 მანეთი აქვს ჯამაგირი, ორ წევრს 300 მანეთი, მოსამსახურეს 75 მ., სხვა-და-სხვა ხარჯები 60 მანეთი. ზოგმა საჭიროდ სცნო თავმჯდომარისა და წევრების ჯამაგირების დაკ-

ცხოვრების ყოველ დარგს ესაჭიროება მთავრობის რეგლამენტაცია.

მიწის მფლობელობა მოვალეობაა და არა უფლება თავად-აზნაურობისათვის, რადგან ბრბო ძალაა, მაგრამ ბრმა ძალა, და მას სჭირია ჯოხი, რომელზედაც უნდა დაებჯინოს. „მიეცით თავად-აზნაურობას ფინანსები, მიეცით გლეხებს ჯოხი!“ იძახის ნილუსი და იგონებს ზემსკის „ნაჩალნიკების“ ისტორიას. მათი ინსტიტუტის შემოღებას შესანიშნავი აზრი ჰქონდაო, მხოლოდ ბოროტმა ძალებმა დაამახინჯეს იგი... განა შეიძლება ერთმა „ნაჩალნიკმა“ 30 ათასს გლეხს გაუწიოს მზრუნველობა? ეხლა დრო არის, საქმე გავასწოროთ: ყოველს მრევლს უნდა ეყოლოს საკუთარი მზრუნველი (მართლ-მადიდებელი აზნაური), რომელიც უნდა იწოდებოდეს სოფლის „ნაჩალნიკად“, და რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს სოფლის მთელი ცხოვრება საადმინისტრაციო, სამოსამართლო, საფინანსო და სხვა მხრივ.

ჯილდოდ თავად-აზნაურს მიეცემა მიწა (ვისაც უკვე აქვს საყოფნი მიწა, იმას ეპატიება ბანკის ვალი). მისი თანამდებობა იქნება მემკვიდრეობითი და ამ რიგად გადაწყდება თავად-აზნაურობის საკითხი, გლეხებს საქმეც, სოფელს ეღირსება წარმატება და სახელმწიფოც უზრუნველ ყოფილი იქნებაო.

„რასაკვირველია, ეს დიდებული რეფორმაო, ამბობს დასასრულ ნილუსი: „ცოტაოდენს“ ხარჯს მოითხოვს ხაზინისაგან—ასე 2—3 მილიარდს მანეთს, მაგრამ სამაგიეროთ დაუფასებელი იქნება მისი სარგებლობაო.“

ასეთია ნილუსის პროექტი, რომელმაც ძლიერ გაახარა გრინგმუტი. „რა ბედნიერებას მოვესწრებით მაშინ: არც ერობა, არც დღევანდელი სასამართლოები, არც საფინანსო დაწესებულებანი, იქნებიან მარტო სოფლის ნაჩალნიკებიო!“ სიამოვნებით სწერს „მოსკოვ. ვედ.“ ბი.

ალბად, ჩვენშიაც ასიამოვნებს ზოგიერთებს ნილუსის წინადადება, და თუ არავინ შეთხზავს მისებურს აზრებს და საჯაროდ არ გამოაქვეყნებს, ჩუმად სიზმარში და ოცნებაში ღიმილით მიესალმება მათ მაინც. უეჭველია, ჩვენშიაც ჰგონია ზოგიერთებს, რომ ნილუსის პროექტის განხორციელების შემდეგ აღარ ვიხილავთ ისეთს სურათებს, როგორსაც აგვიწერს, მაგალითად, ერთი კორესპონდენტი სანაპირო გურიიდან: „სიცხე, აუტანელი ზღვის მტვერი, მთლად გამურვილი პერანგი, სილით ამოვსებული თვალები და ცხვირის ნესტოები, აშმორებული წყალი სასმელად და საჭმლის მოსამზადებლად და ტარანის კუდი, ასეთი მუშები ათასობითაა, თუ მეტი არაო.“

**

ახლად დამთავრებულმა თავად-აზნაურობის კრებამ ქუთაისში, როგორც ვიცით უკვე, სხვათა შორის, გადაწყვიტა, იშუამდგომლოს, რომ ქართული ენა დარჩეს სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებსა და ეკკლესიებში. რასაკვირველია, ასეთი გადაწყვეტილება არ მოსწონებია ბ-ს პალმს: ვიდრე საქმე არ განხორციელდება, არაფერს ვიტყვით ეხლაო, თუმცა მკითხველებმა ჩვენი აზრი უკვე იციანო (ოღონდაც რომ იციან!). ბ. პალმს გული მაგრად აქვს *)...

აი, რა ამბავს იწერებიან ზემო ქართლიდან: ერთმა აქაურმა მღვდელმა მოსპო ეკკლესიაში ქართულად წირვა და დაიწყო რუსულად. გლეხებმა რუსულისა ვერა გაიგეს-რა და მღვდელს შეეხვეწნენ, ისევ ქართულად წირეო, მაგრამ სულიერმა მამამ ყურადღება არ მიაქცია თავის მრევლის თხოვნას: სულ ერთია, ქართული ენა მაინც არ გიყვართო.

**

იეზუიტები ამბობენ: ყველაფერი შეიძლება ad maiorem Dei gloriam—ღვთის მეტის სადიდებლადაო. ასე ჰფიქრობდა ალბად ის ტფილისელი პოლიციელიც, რომლის საქმე წარსულ სამშაბათს გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლომ. 1901 წელს, 1 მაისს, საღამოს 5 საათზე, ერევნის მოედანზე, რაღაც მიზეზისა გამო წაჩხუბებულა ორი მუშა. დიდ-ძალი ხალხი შეკრებილა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება. სხვათა შორის მოედანზე შეჩერებულა „სეირისათვის“ საყურებლად ევგენი გოცირიძე. მოსულა მასთან პოლიციელი და კისერში წაუკრავს. გაკვირვებული გოცირიძე შეჰკითხებია, რისთვისა მცემო და ქუდის ასაღებად დაწეულა ძირს. „აი რატომაცაო“, უთქვამს პოლიციელს და ისე მაგრად დაუკრავს ხმლის ყუა თავში, რომ გარეტიანებული გოცირიძე საავადმყოფოში წაუყვანიათ.

„რისთვის სცემეო!“ ჰკითხეს სასამართლოში პოლიციელს. „პირველი მაისი იყოო იმ დღეს“, გაბედულად უპასუხა მან, მაგრამ მსაჯულებმა უყურადღებოთ დასტოვეს ასეთი გასამართლებელი საბუთი და სამი თვის დაპატიმრება მიუსაჯეს პოლიციელს....

სიტყვა

---

*) ასევე გვიპასუხებს ბ. ვოლსკის არ დამტკიცების გამო: ეს ერთია, სხვა მერე იყოსო!

დება. კენჭის ერთი გადაუწყვეტეს თავმჯდომარეს 200, წევრებს თითოს 100 მანეთი. მერე გამგეობის ერთის წევრის არჩევანი მოხდა. აირჩიეს ძველი წევრი. დასასრულ საბჭოს წევრთა არჩევნები მოხდა. როგორც გამოირკვა, ძველი საბჭო არ იკრიბებოდა თურმე. კრებამ აირჩია: ჰ. კიკალიშვილი, შ. მდივანი და აბაშიძე.

ილია ბახტაძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მაისი.

მინსკი. „სევეროზაპადნი კრაი“ იუწყება, სამიწათ-მოქმედო გამოფენა მოგილევში 1905 წლამდე გადაიდვაო. მომავალი გამოფენები ამ რიგით გაიმართება: 1903 წელს—დვინსკში, 1904 წ.—ბელოსტოკში და 1905 წ.—მოგილევში.

კონსტანტინეპოლი. ნაჩევიჩმა ზინოვიევს თავისი პროგრამა გააცნო. რუსის ელჩმა საკმაოდ კარგად მიიღო ნაჩევიჩი. სანამ ბოლგარია ოსმალეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ეცდება, ნაჩევიჩს სახელმწიფოებიც დაეხმარებიან, მაგრამ სახელმწიფოები იმის ნებას კი არ მისცემენ ბოლგარიას, რომ მაკედონიის საქმეში გაერიოს.

სოფია. მაკედონელები დიდის კრებების გამართვას აპირობენ იმ აზრით, რომ ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ სასტიკად სდევნის ოსმალეთი ევროპიელ ვილაეტების მშვიდობიან მცხოვრებლებს. რაზლოგიდანა და ნევროკოპიდან გამოქცეულები ირწმუნებიან, რამდენსამე სოფელს ოსმალოს ჯარმა ალყა შემოერტყაო.—მთავრობის წრეებში ირწმუნებიან, 23 მაისს ნაჩევიჩი ოფიციალურად წარუდგება ხონთქარსაო.

პრეტორია. ტრანსვაალის კოლონიის გუბერნატორმა ბურების მომეტებულ ნაწილს უკანასკნელ ომის დროს ჩადენილ სამხედრო დანაშაული აპატია და სასჯელისაგან გაანთავისუფლა.

ცეტინიე. ფინანსთა მინისტრმა მატანოვიჩმა და სახალხო განათლების მინისტრმა პოპოვიჩმა თხოვნები წარადგინეს, ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან დაგვითხოვეთო.

ბელგრადი. პირველმა მინისტრმა ცინცარ-მარკოვიჩმა მილოშ დიდის პირველ ხარისხის ორდენი მიიღო.

მადრიდი. სილველამ აცნობა მეფეს, მაროკოში სრულიად მოსპეს აჯანყებაო.

პარიჟი. სენატმა 217 ხმის უმეტესობით 33 წინააღმდეგ მიიღო კანონ-პროექტი სამხედრო სამსახურის ორის წლის ვადაზე.—პარლამენტის სესია 21 ივნისს დაიხურება.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია: უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ სოფელი ბატალპაშინსკი ქალაქად ჩაირიცხოს, აღარ უნდა ასრულდესო.

24 მაისი

მოსკოვი. საფრანგეთის დელეგატები 23 მაისს გაემგზავრებიან პეტერბურგისაკენ.

ხარკოვი. მიცვალებულ ბეითალ-ექიმმა ლუგოვსკოიმ ხარკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას დაუტოვა 70.000 მანეთი, რომ დააარსონ სამი სტიპენდია მისი სახელით.

ალექსანდროვსკი. გაიხსნა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სამზრუნველოს ყრუ-მუნჯთა განყოფილება.

რიბინსკი. 22 მაისს, საღამოს ცხრა საათზე დაიწვა მოსავალი ბაქანი მოსკო-ვინდავ-რიბინსკის სადგურისა. დანარჩენი შენობები სადგურის და ბაქანისა არ დაზიანებულან.

მოსკოვი. საისტორიო მუზეუმში შესანახავათ პოიტანეს ხელთ ნაწერები და წერილები გრანოვსკის, ბელინსკის, გერცენის, კეტჩერის და ბევრ სხვა იმ დროის ცნობილ მოღვაწეებისა.—გუბერნიის ერობა ნიშნავს კონკურსს ცეცხლის საქრობ მილებისას, რომელნიც შემდეგ უნდა მიესყიდოს სოფლის საზოგადოებებს.—ბავშვების დამცველი საზოგადოება აპირობს აგებას სამ შენობისას, ღირებულ 400,000 მანეთად.—ტრეტიაკოვის გალლერეიაში მიიღეს ფრანგი სტუმრები ორმა ხმოსანმა და ოსტროუსოვმა ტრეტიაკოვის გალლერეის მხრივ.

მინსკი. „სევეროზაპად. კრაი“ იტყობინება, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ნება მიუცია ვიტებსკის სოფლის მეურნეების საზოგადოებისათვის, მოახდინოს დვინსკში ამ წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დროს საოლქო კრება ვიტებსკის, ვილნოსი, კოვნოს, კურლიანდიის, ლიფლიანდიის, მინსკის, მოგილიოვის, პსკოვის და სმოლენსკის გუბერნიების სოფლის მეურნეებისა.

ბენევენტი. 23 მაისს გოალიცში და აირალში მომხდარა სუსტი მიწის ძვრა.

კონსტანტინეპოლი. სალონიკის, ადრიანოპოლის და განსაკუთრებით მონასტირის ვილაეტებში და სერესის სანჯაკში დაკეტილია ნახევარზედ მეტი ბოლგარულ სკოლებისა. ბევრი წერილობითი ცნობები ერთხმად ამტკიცებენ, რომ, მუშაობის შეფერხების გამო, მცხოვრებლებს დიდი გაჭირვება ეტყობათ. შეიძლება მცხოვრებლები უარეს მდგომარეობაში ჩავარდნენ და შიმშილობაც კი ჩამოვარდეს. ბევრგან არაფერი არ დაუთესიათ და პირუტყვიც გაიჟლიტა. სამშობლოში გაგზავნილ ბოლგარელ ხელოსნებსაც დიდი გაჭირვება მოელით.

მოსკოვი. ფრანგ-სტუმრებმა 23 მაისს გასინჯეს მაცხოვრის ტაძარი, საისტორიო მუზეუმი, ტრეტიაკოვების გალერეია და რომანოვების სახლი.—22 მაისს, საფრანგეთის კონსულის მიერ გამართულის სადილის შემდეგ, მთელი საღამო მათ „აკვარიუმში“ გაატარეს.

პეტერბურგი. მიწვეულია პეტერბურგს სინოდში დასასწრებლად ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ალექსი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

ზოგ. საჭირო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა);

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 8 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო [illegible], პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირ. ქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, გორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. ოთახში დღის 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოდლოუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის სავაჭრო სკოლა

ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს, დაარსებულია ტფილისის ვაჭართა საზოგადოების მიერ.

კურსი სამის წლისაა. პირველ კლასში მიიღებიან უეგზამენოთ საქალაქო სასწავლებლებში (1872 წლის დებულებისა) სწავლა დამთავრებულნი. სწავლის ფასი 20 მანეთია წელიწადში.

კურს-დამთავრებულთა უფლებანი:

ეძლევათ წოდება პირად საპატიო მოქალაქისა სავაჭრო საქმეში ხუთის წლის სამსახურის შემდეგ. სახელმწიფო სამსახურში—უფლება უეგზამენოდ პირველ საკლასო ჩინის მიღებისა; სამხედრო ბეგრის გადახდის დროს ისეთივე უფლებანი ენიჭებათ, როგორც მეორე ხარისხის სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ.

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. თხოვნასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა და ყვავილის აცრისა. თხოვნების მიღება შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ყოველ დღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—1.)

სხვა-და-სხვა ყვავილის

საუკეთესო

ო-დე-კოლონ

№ 4711

რეინის თაიგულები

უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის

ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.

(მც. 3.—8)

იძლევა ქირით

სახლები.

ზემო სართულში ოთხი ოთახი სამზარეულოთი. სამი აივანი აქვს და საზოგადო სამრეცხაო. შუა სართულში: სამი ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო. ძირითა სართულში: 4 ოთახი, სამზარეულო. შეიძლება ცალ-ცალკეც. ახლად შეკეთებულია.

მერვე ნაწილი, არსენალის ქუჩა № 8. იკითხეთ სახლის პატრონი. (5—90—4)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა მდგომარე წლის 28 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობისავე თანდასწრებით მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც **იჯარით** გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი ნავთლუღის სადგურის მახლობლად. ეს ადგილი ნავთის საწყობის გასამართავადაა.

პირობებისა, ქაღალდებისა და გეგმის გასინჯვა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა წარადგინოს ბე 300 მანეთი. შეიძლება განცხადებების წარდგენა დაბეჭდილ კონვერტებითაც. (2—6.—2).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—55)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილის	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი წინდევლად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისშიც**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში.

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და პირის მოსაპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვადასხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—36)

Дозв. ценз. Тифлисъ, 24 мая, 1908 г. ელექტრონის სტ-მბა წ.-გ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)